ა(ა) იპ საქართველოს საპატრირქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

ა მ ტ კ ი ც ე ბ :
ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის რექტორი
დეკანოზი მირიანი (ნოდარ) სამხარაძე

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეთა ქცევის წესები

შედგენილია საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ“,
საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№37; 21.05. 2004 წ.) დამტკიცებული
დებულების შესაბამისად და გიმნაზიის შინაგანაწესის გათვალისწინებით

თბილისი

2021 წელი

ა(ა) იპ საქართველოს საპატრირქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

საქართველოს საპატრირქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის

გიმნაზიის მოსწავლეთა ქცევის წესები

თავი I. ზოგადი დებულებები

მოსწავლეთა წინამდებარე ქცევის წესების მიზანია სწავლისათვის ისეთი გარემოპ-ირობების შექმნა, სადაც მოწავლე მიიღებს სრულფასოვან ცოდნას, ჩამოუყალიბდება შესაბამისი ღირებულებები და უნარ-ჩვევები;

მოსწავლეთა ქცევის წესებში დადგენილია ის წესები, რომლითაც მოსწავლე ხელმძღვანელობს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, გიმნაზიის დირექციასთან და გიმნაზიაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 1. რეგულირების საგანი

1. მოსწავლეთა ქცევის წესები (შემდგომში "ქცევის წესები") არეგულირებს მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომლებსაც მოსწავლე იცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გიმნაზიაში და გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს;
2. გიმნაზია ვალდებულია, ყველა მოსწავლეს, მოსწავლესა და მშობელს გააცნოს მოსწავლეთა ქცევის წესები;
3. გიმნაზიის შინაგანაწესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ქცევის წესებს.

მუხლი 2. „ქცევის წესების" მიზანი

1. „ქცევის წესების" მიზანია დანერგოს გიმნაზიაში ყველა მოსწავლისათვის ქცევის ერთიანი ნომები;
2. „ქცევის წესები" ხელს უწყობს მოსწავლეს მართოს საკუთარი ქცევები, დაიცვას დისციპლინა, ყველას მიმართ განეწყოს ურთიერთპატივისცემით, რითაც შეძლებს გიმნაზიაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრებაში ხელშეწყობას.

მუხლი 3. რეგულირების სფერო

1. ქცევის წესები ვრცელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის გიმნაზიის ყველა მოსწავლეზე;
2. გიმნაზიის დირექცია, მასწავლებელი, ყველა დასაქმებული პირი და მშობლები ხელს უწყობენ მოსწავლეს ქცევის წესების დაცვაში.

თავი II. მოსწავლეთა ქცევის წესები

მუხლი 4. მასწავლებელთან და დასაქმებულ პირებთან დამოკიდებულება

ა(ა) იპ საქართველოს საპატრირქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

1. მოსწავლე ყოველთვის თავაზიანია მასწავლებლებთან და გიმნაზიაში დასაქმებულ პირებთან ურთიერთობაში და არ აყენებს მათ რამე სახის შეურაცხყოფას;
2. მოსწავლე იცავს გიმნაზიის შინაგანაწესის შესაბამის მუხლებში მითითებულ ნორმებს.

მუხლი 5. მოსწავლეებთან დამოკიდებულება

მოსწავლე თავაზიანია ყველა მოსწავლესთან ურთიერთობისას, არ აკეთებს მათ მიმართ ცილისწამებლურ ან/ და დამცინავ განხადებებს, არ აყენებს რაიმე სახის შეურაცხყოფას.

მუხლი 6. მოსწავლის ჩაცმის წესი და ვარცხნილობა

1. მოსწავლე გიმნაზიაში ცხადდება გიმნაზიის უნიფორმით, რომელზეც მინიშნებულია გიმნაზიის ლოგო;
2. მოსწავლის ვარცხნილობა შეეფერება მის ასაკს, გოგონების ვარცხნილობა არ არის გადატვირთული სხვადასხვა აქსესუარებით და სამშვენისებით.

მუხლი 7. მოსწავლის ქცევა გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო პროცესისა და სასკოლო ღონისძიებების დროს

1. მოსწავლე დროულად ცხადდება გაკვეთილზე ან/და გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებზე;
2. მოსწავლე მომზადებული მოდის გაკვეთილზე, აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ნივთები;
3. მოსწავლე გამოხატავს თავის აზრებისა და შეხედულებებს სხვა პირთა შეულახავად;
4. მოსწავლის, სასწავლო პროცესის დროს, არ სარგებლობს მობილური ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით არასასწავლო მიზნით;
5. სასწავლო პროცესის ან/და სასკოლო ღონისძიებების მიმდინარეობისას, მოსწავლე ხელს არ უშლის მასწავლებელს;
6. მოსწავლე არ ტოვებს გაკვეთილს/გაკვეთილებს გიმნაზიის სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერთან ან/და მასწავლებელთან შეთანხმების გარეშე;
7. მოსწავლე უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და გიმნაზიის ქონებას;
8. მოსწავლე იცავს სისუფთავეს გიმნაზიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მუხლი 8. გიმნაზიაში აკრძალული ნივთები

მოსწავლეს ეკრძალება გიმნაზიაში შემოიტანოს:

ა. თამბაქოს ნაწარმი;
ბ. ბასრი ნივთები და ყველანაირი სახის იარაღი;
გ. სანთებელა ან/და ასანთი;
დ. ალკოჰოლური საშუალებები;
ე. სასწავლო პროცესისათვის ხელისშემშლელი ტექნიკური საშუალებები (ყურსასმენი, ფოტო, ვიდეო და სხვა);
ვ. დიდი ოდენობის (20 ლარი და მეტი) თანხა;
ზ. აზარტული თამაშის საშუალებები;

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

თ. ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა „ქცევის წესების“ დარღვევისათვის

მოსწავლის/მოსწავლეთა მიერ „ქცევის წესების“ დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ შესაბამისად და გიმნაზიის შინაგანაწესით დადგენილი წესით.

მოსწავლეთა ქცევის წესები გავაცანით სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებს.